



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 1

29/12/2017

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების, საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის N45/8755 წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში 13, ხოლო საკრებულოში 7 ერთეულით.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო